

სახელმწიფო და ინოვაციური განვითარება

STATE AND INNOVATION DEVELOPMENT

იგორ გალიცა,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ოფიციალურად აკრედიტებული საერთაშორისო ექსპერტი ინოვაციური ეკონომიკის სფეროში, ეკონომიკისა და მართვის უნივერსიტეტის „KPOK“ -ის სანარმოს ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის პროფესორი, კიევი, უკრაინა

მისაელ შეფარი,

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. ასოციაცია „1901 SEPIKE“-ს პრეზიდენტი, პოინტესი, საფრანგეთი

ანზორ დევაძე,

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორი, ბათუმი, საქართველო

ნიკოლაი შევეჩენკო,

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინოვაციური განვითარების სფეროს ანალიტიკოსი, კიევი, უკრაინა

IHOR HALYTSIA,

Dr of Economics, Full Professor, Professor at the Economics and Enterprise Management Department, University of Economics and Law «KROK», Kiev, Ukraine

MICHAEL SCHAEFER,

Doctor, Professor, President L' Association 1901 SEPIKE. Poitiers, France

ANZOR DEVADZE,

Ph.D in Economics, Professor, Head of Tourism Department at Shota Rustaveli Batumi State University, Batumi, Georgia

MYKOLA SHEVCHENKO,

Ph.D in Physical and Mathematical Sciences, Analyst in the field of innovative development, Kiev, Ukraine

ანოტაცია

ნაჩვენებია, რომ თანამედროვე პირობებში მდგრადი ეკონომიკური უპირატესობების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული რაც შეიძლება მეტი ინდივიდის კრეატიული პოტენციალი როგორც მაკრო, ასევე მიკროდონეზე. მოცემული ამოცანის მაკროდონეზე გადასაწყვეტად შემოთავაზებულია მონიტორინგის, პროგნოზირების, დაგეგმარებისა და ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის უზრუნველყოფის სისტემები. განხილულია მოცემული სისტემის შემადგენლები (ქვესისტემები) და მისი ფუნქციონირების მექანიზმი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური განვითარება, ინოვაციური განვითარების სახელმწიფო რეგულირება, მონიტორინგის, პროგნოზირების, დაგეგმარებისა და ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის უზრუნველყოფის სისტემები.

ABSTRACT

It is shown that in modern conditions, in order to ensure sustainable economic advantages, it is necessary to use in maximum the creative potential of as many individuals as possible, both at the macro and at the micro level. To solve

this problem at the macro level, a System for monitoring, forecasting, planning and ensuring the implementation of innovation activities is proposed. The components (subsystems) and the mechanism of functioning of this system are considered.

Keywords: *innovative development, state regulation of innovative development, systems of monitoring, forecasting, planning and ensuring the implementation of innovative activities.*

კვლევის აქტუალობა

თანამედროვე პირობებში ინოვაციური მართვის საკითხები სამეურნეო საქმიანობის ყველა დონეზე იძენენ პრიორიტეტულ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. აღნიშნული ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ექსტენსიური ეკონომიკური ფაქტორების ამონურვის პირობებში, ინოვაცია წარმოჩნდება როგორც კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის მძლავრი ბერკეტი, და აქედან გამომდინარე ნებისმიერი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის საფუძველია. თანამედროვე პირობებში განვითარებული და განვითარებადი საბაზრო

ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ინოვაციური განვითარების სახელმწიფო რეგულირების საკითხები, რასაც ეძღვნება მოცემული სტატია.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების ინოვაციური პროცესის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. მოცემული სტატიის კვლევის საგანი-სახელმწიფო რეგულირების, პროგნოზირებისა და ინოვაციური პროცესების განვითარების სისტემებია საბაზრო და გარდამავალ ეკონომიკაში.

მასალები და მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

კვლევის შედეგები. ინოვაციები, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ თანამედროვე პირობებში. აღნიშნული სიტუაცია დაკავშირებულია იმასთან, რომ ცივილიზაცია გადადის განვითარების პრინციპულად სხვა ეტაპზე, ყველა წინამდებარე ეტაპებისაგან ძირეულად განსხვავებულზე. ეს ეტაპი შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ეკონომიკური სტრესი“, რომელიც არსებითად განსხვავდება წინა პერიოდების განვითარებისაგან. უპირველესად მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციულ-ინოვაციური რესურსები, დაკავშირებული ინფორმაციის შექმნის, აკუმულირების, გადამუშავებისა და მათ კონკრეტულ ინოვაციებში ტრანსფორმაციისთვის, მომზადებულს უშუალო პრაქტიკული გამოყენებისათვის. მეორე, თუ განვითარების წინამდებარე ეტაპებზე მთლიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, კერძოდ, ეკონომიკაში (თავისებურ „ეკონომიკურ სტრესებში“) ხარისხიანი ნახტომები არ ატარებდნენ მუდმივ ხასიათს და წარმოიქმნებოდნენ პერიოდულად მეტნაკლებად ხანრძლივ დროში, პოსტინდუსტრიულ ეტაპზე ისინი იძენენ პერმანენტულ ხასიათს ეკონომიკის ყველა სივრცეში. ხარისხიანი ნახტომი - ეს ამა თუ იმ საქმიანობის სახეობის განვითარების ისეთი დონეა, რომლის დროსაც ერთი და იგივე ამოცანა შეიძლება შესრულდეს მნიშვნელოვნად მოკლე ვადებში და მნიშვნელოვნად ეფექტური მეთოდებით, ვიდრე განვითარების წინა პერიოდებში.

ამასთან ხარისხიანი ნახტომები იძენენ სისტემატურ ხასიათს სამი უმთავრესი ფაქტორის ერთდროული მოქმედებით: მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპის დაჩქარებით, კერძოდ, ეკონომიკურ ცხოვრებაში; წარმოების სამეურნეო ბრუნვაში მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალი

ფაქტორების წარმოქმნითა და ჩართვით; მსოფლიოს ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვანი გაძლიერებით. მუდმივ „ეკონომიკური სტრესებს“ მივყავართ პოსტინდუსტრიულ ეტაპზე უმთავრესი კანონზომიერებების წარმოქმნასა და ფუნქციონირებადმდე: ცოდნის თაობათა და ასევე ტექნიკისა და ტექნოლოგიების თაობების დაჩქარებულ ცვლამდე, მათი „ცხოვრების ციკლების“ შემცირებადმდე; წარმოებებისა და შრომის წარმოების წარმადობის ამაღლებადმდე; ჯანმრთელობის როლის, როგორც კონკურენტული რესურსის ამაღლებადმდე.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ „ეკონომიკური სტრესის“ პირობებში განსაკუთრებით ჩქარდება ცოდნის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თაობათა ცვლა. ერთდროულად ხდება ტექნიკისა და ტექნოლოგიების „ცხოვრებისეული ციკლების“ პროგრესირებადი შემცირება. ამას მივყავართ ინოვაციების რაოდენობის იმპულსურ ზრდასა და მათი ხარისხიანობის ამაღლებადმდე.

თუმცა ინოვაციური პროცესის პროდუქტიულობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ორგანიზაციის მექანიზმების ეფექტურობითა და ქმედითუნარიანობით. კერძოდ ამ მექანიზმებზე დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად მოხდება ფუნდამენტური კვლევების შედეგების გამოყენება შემუშავებაში და რამდენად სწრაფად მოხდება ამ ახალი ინოვაციების დანერგვა მეურნეობების ყველა სფეროში.

განვითარებული და განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილში შემუშავებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი კანონმდებლობა ინოვაციურ და სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის მიმართულებით. ასევე არსებობს სერიოზული სამეცნიერო კვლევები ინოვაციური პროცესის სფეროში.

თუმცა გლობალიზაციის, საერთაშორისო კონკურენტის გაძლიერების პირობებში არ შეიძლება მიღწეულზე გაჩერება და აუცილებელია შორს წასვლა. ცხოვრება ითხოვს განვითარებული და განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე უმეტეს ქვეყნებში მუდმივმოქმედი, ეროვნული ინოვაციური მოღვაწეობის პროგნოზირების, დაგეგმარების და რეალიზაციის განხორციელების მონიტორინგის სისტემის შექმნას (შემდგომში პრმს).

პრმს ფუნქციონირების მეთოდოლოგიური საფუძვლები. უპირველესად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ პრმს-ს უნდა ჰქონდეს მუდმივმოქმედი ხასიათი და თანხმდებოდეს საბაზრო ეკონომიკის

რეგულირების ეროვნულ სისტემასთან, ასევე უნდა იყოს მისი განუყოფელი ქვესისტემა. საკუთარი ფუნქციის უფრო ეფექტური შესრულებისათვის მიზანშეწონილია, რომ პრემს შედგებოდეს შემდეგი ქვესისტემებისაგან.

1. საინფორმაციო-ანალიტიკური ქვესისტემა, რომელიც ახორციელებს მსოფლიოსა და შესაბამის ქვეყანაში საინფორმაციო მოღვაწეობის პასპორტიზაციასა და განვითარების ანალიზს მოცემული ქვეყნის ყველა დაინტერესებული სააგენტოების ყველა ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროებისა და მასალების საფუძველზე;

2. სახელმწიფო და არასახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტების ქვესისტემა (ინსტიტუტი), რომელიც მიმართულია სახელმწიფო და არასახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტების ფორმირებისა და სტრუქტურირებისათვის, მათი ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების გამოყენებისათვის ინოვაციური პოლიტიკის მომზადებასა და რეალიზაციაში.

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტი (შემდგ. -სახელმწიფო ექსპერტი) -გარკვეული სახელმწიფოს მოქალაქეა, მეცნიერ-მუშაკი, ან მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, რომელსაც აქვს გამოჩენილი მიღწევები სამეცნიერო-ტექნიკურ, ან პროფესიონალურ მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროში, გაიარა საკონკურსო შერჩევა ქვეყნის მიერ დადგენილი გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად, დადო სახელმწიფო ექსპერტისა და ექსპერტიზის მომზადების პასუხისმგებლობის ფიცი.

სახელმწიფო ექსპერტები მხოლოდ პირადად ამზადებენ საექსპერტო დასკვნებს და არიან პერსონალურად პასუხისმგებლები მათზე. სახელმწიფო ექსპერტებს, რომლებსაც გარკვეული პერიოდი ჰქონდათ აღნიშნული სტატუსი, კანონმდებლობით სავალდებულოა გაუთვალისწინდეთ რიგი მატერიალური და მორალური ღგოტებისა, რაც ჩამოერთმევა მას საექსპერტო დასკვნების მომზადების დარღვევის, ან უხარისხო დასკვნების მომზადების მიზეზით სახელმწიფო ექსპერტის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში. სახელმწიფო ექსპერტები ფორმირდებიან სპეციალურ საექსპერტო ჯგუფებში მათი მოღვაწეობის მიმართულების შესაბამისად.

მსოფლიოს ინოვაციური პროცესების განვითარების სტრატეგიული პროგნოზები, ქვეყნის განვითარების ინოვაციური სტრატეგია, განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიული პროგნოზები და გეგმები ფორმირდება და კორე-

ქტირდება სახელმწიფო ექსპერტების დასკვნებისა და წინადადებების საფუძველზე. სახელმწიფო ექსპერტების ერთობლიობაა თუ იმ ქვეყნის ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური ელიტის საუკეთესო ნაწილია, ძირითადი კონკურენტულუნარიანი რესურსია. სახელმწიფო ექსპერტების ინსტიტუტის გამოყენება საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ქვეყანაში არსებული საუკეთესო ინტელექტუალური რესურსები პროგნოზებისა და გეგმების დამუშავებაში.

სახელმწიფო ექსპერტების ინსტიტუტის ფორმირებას, სტრუქტურირებასა და გამოყენებისათვის სამუშაოს აწარმოებს საჯარო და არასაჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტების ეროვნული მაკოორდინირებელი ქვესისტემის ორგანო.

აუცილებლობის შემთხვევაში საჯარო ექსპერტები გამოიყენებენ არასაჯარო ექსპერტების მასალებსა და დასკვნებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ იურიდიული და ფიზიკური პირები და ფლობენ შესაბამის განათლებასა და ოპერაციულ დროს და მზად არიან გადასცენ ის საჯარო ექსპერტებს. არასაჯარო ექსპერტები მუშაობენ საზოგადოებრივ სანყისებზე.

3. ინოვაციური განვითარების სტრატეგიული პროგნოზირების ქვესისტემა. სტრატეგიული პროგნოზირების ქვესისტემის მოღვაწეობის მიზანია პროგრამულ და ხელმისაწვდომ საინფორმაციო რესურსის მთლიან კომპლექსზე დაფუძნებული შემუშავება, რომელიც მოდის საინფორმაციო-ანალიტიკური ქვესისტემიდან და საჯარო და არასაჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტებისგან, მსოფლიოს ინოვაციური პროცესების განვითარების პროგნოზიდან. ამ პროგნოზის მასალების საფუძველზე და არსებული და პერსპექტიული რესურსების გათვალისწინებით მუშავდება კონკრეტული ქვეყნის ინოვაციური განვითარების პროგნოზი და სტრატეგია.

ინოვაციური განვითარების პროგნოზირების სტრატეგიული სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს ქვეყნის რეალური მოთხოვნის გათვალისწინებით, არსებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შესაძლებლობების შეფასებით და სამეცნიერო სკოლებით, მიღებული მეცნიერული კვლევების შედეგებით და დარეგისტრირებული ობიექტების ინტელექტუალური საკუთრებით, ასევე შესაბამისი ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პროგნოზირების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების სცენარის სხვადასხვა ვარ-

ინტებს, სახელმწიფო ხელშეწყობის სავარაუდო ვარიანტებს, ასევე მოსალოდნელი შედეგების შეფასებასა და გავლენას ქვეყნის ეკონომიკასა და ცხოვრების ხარისხზე.

პროგნოზირების მასალების ანალიზის ექსპერტთა შეფასების საფუძველზე მუშავდება კონკრეტული ქვეყნის ინოვაციური განვითარების 15 წლიანი სტრატეგია.

4. საშუალოვადიანი სტრატეგიული პროგნოზირების ქვესისტემა, ითვალისწინებს მსოფლიოს ინოვაციური განვითარების სტრატეგიული პროგნოზების საფუძველზე კონკრეტული ქვეყნის სტრატეგიული ინოვაციური განვითარება 5 წლით, განსაზღვრავს:

- სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების საერთო მიზნები და ანალოგიური მიზნები მათი რეგიონებისთვის;
- მისაღწევი მიზნების გზები და რესურსები;
- პირობების მკაცრი ჩამონათვალი, რომელთა წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია იცვლებოდეს სტრატეგია;
- სტრატეგიაში ცვლილებების მკაფიო მა ერთპიროვნული მექანიზმი.

5. საშუალოვადიანი განვითარების ქვესისტემა.

საშუალოვადიანი 5 წლიანი სტრატეგიის საფუძველზე მუშავდება სახელმწიფო ინოვაციური განვითარების გეგმები, რომელიც ითვალისწინებს კანონპროექტში და ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შემუშავებასა და შეტანას.

ამასთან აუცილებელია ნორმატიულად დადგინდეს, რომ საშუალოვადიანი სტრატეგია და გეგმები უნდა კორექტირდებოდეს მხოლოდ დადგენილი ცვლილებების შეტანის მექანიზმის შესაბამისად.

6. საშუალოვადიანი გეგმების რეალიზაციის და შესრულების კონტროლის ქვესისტემა. მითითებული ქვესისტემა ახორციელებს საშუალოვადიანი გეგმების შესრულების კოორდინაციასა და კონტროლს.

7. უსაფრთხოების ქვესისტემა. ინფორმაცია, რომელსაც იმუშავებს პრმს, და თვით პრმს-ს ფუნქციონირება არის ამა თუ იმ ქვეყნის მთავარი კონკურენტუნარიანი რესურსი და უნდა შეადგენდეს უმკაცრეს სახელმწიფო საიდუმლოს.

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ მთავარ მაჩვენებლებს, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ინოვაციური მოღვაწეობის სრულფასოვანი მონიტორინგი, განეკუთვნება:

- საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც დანერგეს ინოვაციები, ახალი ტექნოლოგიები,

აითვისეს ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება;

- შემოქმედთა რაოდენობა;
- ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უსაფრთხოების დოკუმენტებზე შენატანი განაცხადების რაოდენობა;
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე გაცემული უსაფრთხოების დოკუმენტების რაოდენობა;
- ქვეყანის მეურნეობაში გამოყენებული ინტელექტუალური ობიექტების რაოდენობა;
- წარმოებულ ინოვაციური პროდუქციის რაოდენობა;
- საშინაო და საგარეო ბაზრებზე გასაღებული ინოვაციური პროდუქციის რაოდენობა და სხვა.

პრმს-ს ფუნქციონირების მექანიზმი. პრმს-ს ფუნქციონირების მექანიზმი ფორმირდება მთელი რიგი ოპერაციებისგან, ანუ შედარებით დასრულებული მოქმედებებისაგან, რომლებიც არიან ამ მექანიზმის ელემენტები და გარკვეულწილად დაკავშირებული არიან სხვა ოპერაციებთან.

ოპერაცია 1. სამეცნიერო და ინოვაციური მოღვაწეობის სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო (შემგ.-ცენტრალური ორგანო) აფორმირებს და ახორციელებს მაკოორდინირებელი ორგანოებით ხელმძღვანელობას შემდეგ ქვესისტემებზე:

- საინფორმაციო-ანალიტიკური;
- საჯარო და არასაჯარო მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერტების ინსტიტუტები;
- ინოვაციური განვითარების სტრატეგიული პროგნოზირება;
- ინოვაციური განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიული პროგნოზირება;
- ინოვაციური განვითარების საშუალოვადიანი გეგმების რეალიზაციის და კონტროლის სრულება;
- უსაფრთხოება.

ოპერაცია 2. ინფორმაციულ-ანალიტიკური ქვესისტემის ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანო(შემდგ. იაქეო), სხვადასხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, აწარმოებს პასპორტიზაციას:

- ქვეყანაში დასრულებული მეცნიერული კვლევებს;
- ქვეყანაში წარმოებულ მეცნიერულ შემუშავებებს;

- ქვეყანაში შემუშავებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს;
- მეცნიერ მუშაკებს;
- მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც დაკავებული არიან კვლევებით მეცნიერული განვითარების სფეროში და ინოვაციური მოღვაწეობით;
- სამეცნიერო ორგანიზაციებს;
- სამეცნიერო ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავებული არიან კვლევებით მეცნიერული განვითარების სფეროში და ინოვაციური მოღვაწეობით.

პასპორტი ყველა ზემოთჩამოთვლილი მიმართულებით უნდა იყოს დეტალურად შემუშავებული და შეიცავდეს ინფორმაციას, აუცილებელს შესაბამისი გადანაწილებების მისაღებად.

ოპერაცია 3. ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება მთელ მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესების განვითარების შესახებ;

ოპერაცია 4. მონაცემთა ბაზების ფორმირება კონკრეტულ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მდგომარეობის შესახებ, კერძოდ მონაცემთა ბაზების:

- დასრულებული მეცნიერული შემუშავებების;
- შესრულებადი მეცნიერული შემუშავებების;
- შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების;
- მეცნიერ-მუშაკების;
- მეცნიერ-მუშაკების, რომლებიც ჩართული არიან მეცნიერული განვითარების კვლევებში და ინოვაციური მოღვაწეობის სფეროში;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების;
- სამეცნიერო ორგანიზაციების;
- სამეცნიერო ორგანიზაციების, რომლებიც ჩართული არიან მეცნიერული განვითარების კვლევებში და ინოვაციური მოღვაწეობის სფეროში;

ოპერაცია 5. ზემოთჩამოთვლილ მონაცემთა ბაზების მუდმივი კორექტირება მონოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

ოპერაცია 6. პრემს ყველა ქვესისტემებში ინფორმაციის მინოდება მათი მოთხოვნისამებრ;

ოპერაცია 7. ეროვნული მაკოორდინერებელი ორგანოს საჯარო და არასაჯარო მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერტების ქვესისტემის (შემდგ.-ექე) მეცნიერულ-მუშაკთა მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი;

ოპერაცია 8. კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა შესაბამისად მეცნიერ-მუშაკს, ან

მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტს ენიჭება სახელმწიფო ექსპერტის სტატუსი.

ოპერაცია 9. სახელმწიფო ექსპერტის სტატუსის მისანიჭებელ პრეტენდენტთა სიის ფორმირება;

ოპერაცია 10. სახელმწიფო ექსპერტის სტატუსის მისაღებ პრეტენდენტთა პირადი საქმეების წინასწარ განმხილავი საექსპერტო კომისიის შემადგენლობის ფორმირება და დამტკიცება;

ოპერაცია 11. სახელმწიფო ექსპერტის სტატუსის მისაღებ პრეტენდენტთა პირადი საქმეების განმხილავი სპეციალური საექსპერტო კომისიების ფორმირება და დამტკიცება;

ოპერაცია 12. სპეციალური საექსპერტო კომისიების მიერ სახელმწიფო ექსპერტის სტატუსის მისანიჭებელ პრეტენდენტთა პირადი საქმეების განხილვა და აღნიშნულ სტატუსზე კანდიდატების შერჩევა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. შესაბამისი სიის წარდგენა ეექ-ზე განსახილველად.

ოპერაცია 13. წარდგენილი სიის ეექ-ის მიერ განხილვა და წარმოდგენილ კანდიდატთა დამტკიცება არდამტკიცება);

ოპერაცია 14. დამტკიცებული კანდიდატების მიერ ფიცის მიღება და გაფრთხილება ექსპერტის ჩატარების პასუხისმგებლობაზე, რის შემდეგაც მათ მიენიჭებათსახელმწიფო ექსპერტის სტატუსი;

ოპერაცია 15. სახელმწიფო ექსპერტების სტრუქტურირება შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური მოღვაწეობის მიმართულებებით;

ოპერაცია 16. დისციპლინარული კომისიის შემქმნა სახელმწიფო ექსპერტების პირადი საქმეების განსახილველად;

ოპერაცია 17. დისციპლინარული კომისიის მიერ სახელმწიფო ექსპერტების პირადი საქმეების განხილვა, რომელთაც დაარღვიეს ფიცი და ეექ-ზე შესაბამისი წინადადებების მინოდება ამა თუ იმ პირზე სახელმწიფო ექსპერტის სტატუსის ჩამორთმევის (არ ჩამორთმევის შესახებ);

ოპერაცია 18. დისციპლინარული კომისიის მიერ მინოდებული წინადადებების განხილვა ეექ-ის მიერ;

ოპერაცია 19. ეექ-ის მიერ ინფორმაციის მინოდება პრემს სხვა ქვესისტემებში.

ოპერაცია 20. ეროვნული მაკოორდინერებელი ქვესისტემის ორგანო:

- იღებს ყველა აუცილებელ ინფორმაციას ცმპრ-ის სხვა ქვესისტემებიდან;

- აფორმირებს სამუშაოთა პროგრამებს.
- ოპერაცია 21.** ეროვნული მაკოორდინირებელი ქვესისტემის ორგანო აფორმირებს:
- სახელმწიფო ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებს, სამუშაო პროგრამების ამოცანების შესასრულებლად;
 - ექსპერტთა ორგანოს, სამუშაო ჯგუფების მისრ წარმოდგენილი მასალების შესაფასებლად;
 - სააპელაციო ორგანოს, საექსპერტო ორგანოს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების განსახილველად.

ოპერაცია 22. სამუშაო ჯგუფები ასრულებენ მათ წინაშე სამუშაო პროგრამის ფარგლებში დაყენებულ ამოცანებს და წარმოდგენენ მათ მიერ მომზადებულ მასალებს საექსპერტო ორგანოს განსახილველად;

ოპერაცია 23. საექსპერტო ორგანო აწარმოებს სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული მასალების ექსპერტიზას, და დადებითი შედეგის შემთხვევაში გადასცემს ზემოთხსენებულ მასალებს ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანოს ქვესისტემას ინფორმაციისათვის;

ოპერაცია 24. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო ორგანოს დასკვნები უარყოფითია, სამუშაო ჯგუფს შეუძლია მის მიერ მომზადებული მასალები გადასცეს სააპელაციო ორგანოს, რომელიც კიდევ ერთხელ ჩაატარებს შესაბამის ექსპერტიზას;

ოპერაცია 25. სააპელაციო ორგანო ატარებს დამატებით ექსპერტიზას. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნები დადებითია, მასალები ცნობისათვის მიენიშება ეროვნულ მაკოორდინირებელი ორგანოს ქვესისტემას. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ისმება საკითხი სამუშაო ჯგუფის წევრებზე საჯარო ექსპერტების სტატუსის ჩამორთმევის შესახებ;

ოპერაცია 26. ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანო სამუშაო ჯგუფების საფუძველზე, რომელთაც წარმატებით გაიარეს ექსპერტიზა, აფორმირებს საბოლოო დოკუმენტს, რომელიც ქვესისტემის მოღვაწეობის ეფექტია.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიული პროგნოზირების ქვესისტემისთვის საბოლოო დოკუმენტებად ითვლება მსოფლიოს ინოვაციური პროცესების განვითარების პროგნოზი და კონკრეტული ქვეყნის ინოვაციური განვითარების 15 წლიანი პროგნოზი და სტრატეგია.

ინოვაციური განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიული პროგნოზირების ქვესისტემისთვის

საბოლოო დოკუმენტი-სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების 5 წლიანი სტრატეგიაა.

ინოვაციური განვითარების საშუალოვადიანი დაგეგმარების ქვესისტემისთვის საბოლოო დოკუმენტი-ინოვაციური განვითარების სახელმწიფო გეგმებია.

ამასთან წინა ქვესისტემის საბოლოო დოკუმენტი ემსახურება მომდევნო ქვესისტემის მოღვაწეობის საფუძველს. სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების 5 წლიანი სტრატეგია არის სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების გეგმების შემუშავების საფუძველი.

ოპერაცია 27. ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანო აუცილებლობის შემთხვევაში აკორექტირებს საბოლოო დოკუმენტს, რომელიც ითვლება ქვესისტემის მოღვაწეობის შედეგად, თუ:

- სხვა ქვესისტემებიდან მოვიდა შესაბამისი ახალი ინფორმაცია;
- კორექტირებას იწყებს ესა თუ ის სახელმწიფო ექსპერტი.

სასუალოვადიანი გეგმების რეალიზაციისა და კონტროლის ქვესისტემის ფუნქციონირების მექანიზმი.

ოპერაცია 28. ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანო ახორციელებს სასუალოვადიანი გეგმების შესრულების კოორდინაციას კონტროლს მათ შესრულებაზე; ქვესისტემის ფუნქციონირების უსაფრთხოების მექანიზმი.

ოპერაცია 29. მოცემული ქვესისტემის ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანო უზრუნველყოფს როგორც CMPP-ის ინფორმაციის, ასევე მთლიანად მისი მოღვაწეობის საიდუმლოების რეჟიმს.

დასკვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ პრემს-ის შექმნა, როგორც წესი არ მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო და არა საბიუჯეტო სახსრებს. უმეტეს ქვეყნებში ის შეიძლება მთლიანად შეიქმნას იმ სახსრების ფარგლებში, რომელიც თანამედროვე პირობებში გამოიყოფა მეცნიერებისა და ინოვაციური მოღვაწეობისთვის. პრემს უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკულად არ მოითხოვს ახალი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების შექმნას. ის მხოლოდ ცვლის კავშირებს უკვე არსებულ, ინოვაციური მოღვაწეობის გამტარებელ ინსტიტუტებს შორის, აერთიანებს მათ ერთ მუდმივ მოქმედ სისტემაში, და ამის ხარჯზე სინერგიული ეფექტის მიღწევის საშუალებას იძლევა.

REFERENCES

- [1] **Halytsia I.** Industrialization and commercialization of applied science [Industrializatsiya i kommersializatsiya prikladnoy nauki] // Society and Economy. - 2001. - №10. - p. 185-198. [in Russian];
- [2] **Halytsia I.A.** “Economic Stresses”: nature and consequences [“Ekonomicheskiye stressy”: priroda i posledstviya] // Bulletin of the Belarusian State Economic University. - 2009. - №3 - p. 17-22. [in Russian];
- [3] **Geyets V.** The nature of the transition processes to the knowledge economy [Kharakter perekhodnykh protsessov k ekonomike znaniy] // Economy of Ukraine. - 2004. - № 4. - p. 4-14; №5. - p. 4-13. [in Russian];
- [4] **Chukhno A.** Actual problems of the strategy of economic and social development at the present stage [Aktual'nyye problemy strategii ekonomicheskogo i sotsial'nogo razvitiya na sovremennom etape] // Economy of Ukraine. - 2004. - № 4. - p. 15-23; №5. - p. 14-23. [in Russian];
- [5] **Inozemtsev V.L.** For ten years. To the concept of posteconomic society [Za desyat' let. K kontseptsii postekonomicheskogo obshchestva]. - M.: Academia, 1998. – 528 p. [in Russian];
- [6] Problems of management of innovative business of ecological direction [Problemy upravlinnya innovatsiynym pidpryyemnytstvom ekolohichnoho spryamuvannya] / Ed. O.V. Prokopenko. - Sumy: University Book, 2007. – 512 p. [in Ukrainian];
- [7] **Pavlenko I.A.** Innovative entrepreneurship in the transformational economy of Ukraine [Innovatsiyne pidpryyemnytstvo u transformatsiyniy ekonomitsi Ukrayiny]. - K.: KNEU, 2007. – 248 p. [in Ukrainian];
- [8] Potential of national industry: goals and mechanisms for effective development [Potentsial natsionalnoyi promyslovosti: tsili ta mekhanizmy efektyvnoho rozvytku] / Ed. Yu.V. Kindzersky. - K.: State institution “Institute of Economics and Forecasting of NAS of Ukraine”, 2009 – 928 p. [in Ukrainian];
- [9] **Dudar T.G., Melnichenko V.V.** Innovation Management [Innovatsiynyy menedzhment]: Teaching manual. – K.: TSUL, 2009. – 256 p. [in Ukrainian];
- [10] **Asaul A.N.** Problems of innovative development of the domestic economy [Problemy innovatsionnogo razvitiya otechestvennoy ekonomiki] // Economic revival of Russia. - 2009. - №4. - p. 3-6. [in Russian];
- [11] **Demchenko A.O.** Formation of a portfolio of innovative projects of an enterprise under financial constraints [Formirovaniye portfelya innovatsionnykh proyektov predpriyatiya v usloviyakh finansovykh ogranicheniy] // Economic Revival of Russia. - 2010. - №1. - p. 37-44. [in Russian].